ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲜ/ᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲖᲝᲛᲘᲔᲠ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲡ.

ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲗ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲜᲘᲭᲔᲑ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲡ "ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲐᲚᲓᲐᲒᲡ" (ᲡᲐᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ: 404476189; ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, Ბ. ᲙᲕᲔᲠᲜᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ #10) (ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ „ᲛᲖᲦᲕᲔᲕᲔᲚᲘ“):

ა) კონკურსის, “შენს მანქანაში გადახდენილი საინტერესო / სახალისო ისტორია“ მონაწილეობის, სადაზღვევო მომსახურების გაწევის, მზღვეველის მიერ შესაბამისი სახელშეკრულებო ან საკანონმდებლო ვალდებულების შესრულების მიზნით დაამუშავოს ჩემი პერსონალური, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო სადაზღვევო მომსახურების შეთავაზების/ხარისხის ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევის მიზნით დაამუშავოს წინამდებარე განაცხადში მითითებული პერსონალური მონაცემები.

ბ) წინამდებარე განაცხადის საფუძველზე გადაცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს იმ პირთათვის, რომლებსაც ასეთ ინფორმაციაზე წვდომა ესაჭიროებათ მათი მოვალეობების შესრულებისათვის ან/და მზღვეველის მიერ მისი შესაბამისი სახელშეკრულებო ან საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულებისათვის.

გ) პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დაამუშავოს ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები), ასევე გადასცეს აღნიშნული მონაცემები დაკავშირებულ (აფილირებულ), ურთიერთდამოკიდებულ კომპანიებს/პირებს იმავე მიზნებისთვის.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ, ᲕᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑ, ᲠᲝᲛ:

დ) წინამდებარე განაცხადით ჩემი პერსონალური, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ჩემს მიერ მზღვეველისათვის მიწოდებას ვახორციელებ ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე,

ე) მივიღე სრული ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების და ჩემი, როგორც მონაცემთა სუბიექტის კანონმდებლობით - "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით მონიჭებული უფლებების, კერძოდ, მონაცემთა დამმუშავებლისგან ჩემი მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მიღების, მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის და განადგურების თაობაზე.